

შპს ტოპ გრუპი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	6
3. კომპანიის მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა.....	9
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	12
5. სავაჭრო მოთხოვნები	12
6. გადახდილი ავანსები	12
7. ძირითადი საშუალებები	13
8. გაცემული სესხები	14
9. სავაჭრო ვალდებულებები.....	14
10. გამოუმუშავებელი შემოსავალი	14
11. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....	15
12. შემოსავალი მომსახურებიდან.....	15
13. მომსახურების მომწოდებლებისა და მასალების დანახარჯი.....	15
14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	16
15. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	16
16. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	17
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	17

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-21	31-12-20 (გადაანგარიშებული)	31-12-19 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	99,715	309,778	755,119
სავაჭრო მოთხოვნები	5	513,705	295,193	435,176
გადახდილი ავანსები	6	69,114	9,642	4,910
მოთხოვნა არასაკონტროლო პაკეტის მფლობელების მიმართ		-	49,403	-
სხვა მიმდინარე აქტივები		5,098	9,850	3,832
სულ მოკლევადიანი აქტივები		687,632	673,866	1,199,037
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	140,494	187,296	227,429
გაცემული სესხები	8	480,641	493,407	389,119
ინვესტიციები		14,194	14,330	14,491
სულ გრძელვადიანი აქტივები		635,329	695,033	631,039
სულ აქტივები		1,322,961	1,368,899	1,830,076
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	9	197,089	242,851	63,292
გამოუმუშავებელი	10	239,739	259,874	209,612
შემოსავალი				
სესხები		30,120	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	285,218	99,168	147,620
სულ ვალდებულებები		752,166	601,893	420,524
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		501,958	703,268	1,370,690
არასაკონტროლო პაკეტი		68,837	63,738	38,862
სულ საკუთარი კაპიტალი		570,795	767,006	1,409,552
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,322,961	1,368,899	1,830,076

აღმასრულებელი დირექტორი -----

ვახტანგ ვახტანგიშვილი

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31-12-21	31-12-20 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი მომსახურებიდან	12	6,121,924	4,198,890
მომსახურების მომწოდებლებისა და მასალების დანახარჯი	13	(2,024,765)	(920,386)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(603,170)	(665,934)
ხელფასები და სხვა სარგებელი	15	(3,665,799)	(3,313,114)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	7	(66,359)	(81,909)
სხვა შემოსავლები		16,267	46,977
სხვა ხარჯები		(5,122)	(4,236)
ზარალი პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		(227,024)	(739,712)
საპროცენტო შემოსავალი		52,300	43,074
საპროცენტო ხარჯი		(3,659)	(6,500)
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(17,828)	11,189
ზარალი დაბეგვრამდე		(196,211)	(691,949)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ზარალი, საიდანაც:		(196,211)	(691,949)
მშობელი საწარმოს მფლობელთა წილი		(201,310)	(667,422)
არასაკონტროლო პაკეტის წილი		5,099	(24,527)

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	გაუნაწილებელი მოგება	არასაკონტროლო პაკეტი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)	1,370,690	38,862	1,409,552
წმინდა ზარალი	(667,422)	(24,527)	(691,949)
არასაკონტროლო პაკეტის წილის ზრდა	-	49,403	49,403
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	703,268	63,738	767,006
წმინდა (ზარალი)/მოგება	(201,310)	5,099	(196,211)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	501,958	68,837	570,795

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ტოპ გრუპი დაფუძნდა 2008 წელს და რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: თბილისი, პ. ქავთარაძის ქუჩა N4. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 205249667. კომპანიის მფლობელები არიან შემდეგი ფიზიკური პირები:

ლევან ლევსვერიძე (ს/კ 01024051720) – 25%

ირაკლი თევზაძე (ს/კ 01024051406)- 25%

ვახტანგ ვახტანგიშვილი (ს/კ 01019017614)-25%

გიორგი ბურჭულაძე (ს/კ 01008033349)- 25%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სარეკლამო საქმიანობა, სოციალური მედიის მართვა, მარკეტინგული კამპანიების შექმნა, აპლიკაციების გაყიდვა და სხვადასხვა ტრენინგების ჩატარება. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს პარტნიორთა კრების მიერ დანიშნული აღმასრულებელი დირექტორი - ვახტანგ ვახტანგიშვილი და გენერალური დირექტორი - გიორგი ბურჭულაძე, რომლებიც ფლობენ კომპანიის 25%-25% წილებს.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილებს, მეკავშირე საწარმოებსა და ინვესტიციებს:

მფლობელი:	კომპანიაში:	31.12.2021 მფლობელობა	ყიდვის/დაარსების წელი	კლასიფიკაცია
შპს ტოპ გრუპი	შპს ლივინგსტონ ლაბ	80.0%	2014	შვილობილი
შპს ტოპ გრუპი	შპს არეალი ინქ.	78.4%	2015	შვილობილი
შპს ტოპ გრუპი	შპს ნებულა	40.0%	2015	მეკავშირე
შპს ლივინგსტონ ლაბ	შპს ოულ გრუპი	40.0%	2016	მეკავშირე
შპს ლივინგსტონ ლაბ	შპს ატომსტუდიო	40.0%	2016	მეკავშირე
შპს ტოპ გრუპი	LUCKSTOCK INC	4.05%	2017	ინვესტიცია

აღსანიშნავია რომ შპს ნებულასა და შპს ოულ გრუპს ჰქონდათ აკუმულირებული ზარალი 2021, 2020 და 2019 წლებში. შესაბამისად, ფას-ის თანახმად, აღრიცხულნი არიან ნულოვანი საბალანსო ღირებულებით. შპს ატომსტუდიოს 2021, 2020 და 2019 წლებში ჰქონდა გაუნაწილებელი მოგების დადებითი ნაშთი. უმნიშვნელო ნაშთიდან გადმომდინარე, ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში, შპს ატომსტუდიოში, წარმოდგენილია სხვა

ინვესტიციებთან ერთად, კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ხოლო კომპანიის წილი მოგება/ზარალი მეკავშირე საწარმოდან, შპს ატომსტუდიოდან, წარმოდგენილია სხვა შემოსავლებში/ხარჯებში, კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ მისი საქმიანობა მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

2021 წელს კომპანიამ ჩაატარა საწყისი ნაშთების, მათ შორის არამონეტარული და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად კომპანიამ გადაიანგარიშა და მცირედით დააკორექტირა საწყისი ნაშთები. გარდა ამისა, უკეთესი პრეზენტაციის მიზნით, კომპანიამ მოახდინა გარკვეულ ანგარიშებს შორის ნაშთების გადაკლასიფიცირება. ყველა ის ფინანსური უწყისი, რომელიც გადაანგარიშდა, მონიშნულ იქნა „გადაანგარიშებული“-ს კლასიფიკაციით. შედეგად, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ წარმოადგინა სამი წლის საბალანსო უწყისი. გარდა ამისა, შედარებისთვის, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ ასევე წარმოადგინა გასულ პერიოდში გამოქვეყნებული ფინანსური უწყისები, რომელთა გადაანგარიშებაც მოხდა მიმდინარე პერიოდში:

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე)

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19	31-12-18
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	271,475	755,519	645,997
სავაჭრო მოთხოვნები	5	333,532	440,537	289,163
გადახდილი ავანსები		12,654	4,901	94,090
მოთხოვნა არასაკონტროლო პაკეტის მფლობელების მიმართ		49,403	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები		16,296	14,516	84
სულ მოკლევადიანი აქტივები		683,360	1,215,473	1,029,334
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	187,296	227,429	219,654
გაცემული სესხები	7	491,384	389,119	1,173,982
ინვესტიციები		14,330	12,520	12,520
სულ გრძელვადიანი აქტივები		693,010	629,068	1,406,156
სულ აქტივები		1,376,370	1,844,541	2,435,490
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	8	241,592	63,311	67,465
გამოუმუშავებელი შემოსავალი	9	298,369	209,612	330,148
სესხები		-	-	911,317
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	100,052	146,174	125,526
სულ ვალდებულებები		640,013	419,097	1,434,456
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		672,539	1,383,467	965,309
არასაკონტროლო პაკეტი		63,818	41,977	35,725
სულ საკუთარი კაპიტალი		736,357	1,425,444	1,001,034
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,376,370	1,844,541	2,435,490

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარი)

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის
ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე)

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19
შემოსავალი მომსახურებიდან	11	4,198,890	6,192,828
მომსახურების მომწოდებლებისა და მასალების დანახარჯი	12	(920,386)	(1,474,945)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(657,880)	(940,371)
ხელფასები და სხვა სარგებელი	14	(3,313,114)	(3,289,575)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	6	(81,909)	(92,427)
სხვა შემოსავლები		46,977	75,445
სხვა ხარჯები		(28,038)	(90,287)
მოგება პროცენტებამდე და საკუროსო სხვაობამდე		(755,460)	380,668
საპროცენტო შემოსავალი		42,030	86,395
საპროცენტო ხარჯი		(6,500)	(34,445)
ზარალი საკუროსო სხვაობიდან		(18,560)	(1,366)
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		(738,490)	431,252
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა (ზარალი)/მოგება, საიდანაც:		(738,490)	431,252
მშობელი საწარმოს მფლობელთა წილი		(710,928)	425,000
პრასაკონტროლო პაკეტის წილი		(27,562)	6,252

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(გადაანგარიშებამდე)

	გაუნაწილებელი მოგება	პრასაკონტროლო პაკეტი	სული კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარი	965,309	35,725	1,001,034
წმინდა მოგება	425,000	6,252	431,252
გაცემული დივიდენდი	(6,842)	-	(6,842)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	1,383,467	41,977	1,425,444
წმინდა ზარალი	(710,928)	(27,562)	(738,490)
პრასაკონტროლო პაკეტის წილის ზრდა	-	49,403	49,403
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	672,539	63,818	736,357

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე ახორციელებს მომსახურების ექსპორტს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. მის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მომველეობა, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიაწიოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანი იყო გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარება და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით.

მოგების გადასახადის 15 პროცენტის განაკვეთი უცვლელი დარჩა, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტელეკომუნიკაციებისა.

3.4 სესხები

სესხების თავდაპირველი აღიარება ხდება მიღებული თანხით, რომელსაც აკლდება საკომისიო და სესხის აღების ტრანზაქციასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სესხების შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

3.5 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.6 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც პერიოდის ხარჯი.

3.7 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, საკონსულტაციო და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

ჯგუფს ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე. ასევე ყოველდღიური საქმიანობისთვის კომპანიას პერიოდულად აქვს ფული სალაროში.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-21	31-12-20
ფული სალაროში	2,880	-
ფული საბანკო ანგარიშებზე	96,835	309,778
სულ	99,715	309,778

5. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება იმ დებიტორებისგან, რომელთაც ჯგუფმა გაუწია მომსახურება და რომელთაგანაც მომსახურების თანხა ჯერ არ იყო ჩარიცხული 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჯამში ჯგუფს გააჩნდა 70-მდე დებიტორი 2021 წლის ბოლოს. მათ შორის ყველაზე მსხვილი დებიტორია VISA INC, რომლის მიმართ სავაჭრო მოთხოვნა 31-12-21 მდგომარეობით შეადგენდა 311,398 ლარს.

6. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები შედგება სხვადასხვა მომსახურებისა და პროდუქციის შესყიდვის მიზნით მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსებისგან. აღნიშნული ავანსების ხარჯში/აქტივად აღიარება მოხდება შესაბამისი მომსახურების ან აქტივის მიღების შემდგომ. ჯამში კომპანიას ჰქონდა გადახდილი ავანსი 30-ზე მეტ მომწოდებელზე 2021 წლის ბოლოს.

7. ძირითადი საშუალებები

2021 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	81,242	-	81,242
ოფისის აღჭურვილობა	456,955	16,011	472,966
ავეჯი და სხვა ინვენტარი	48,745	3,546	52,291
სულ	586,942	19,557	606,499

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	34,038	8,431	42,469
ოფისის აღჭურვილობა	332,847	53,795	386,642
ავეჯი და სხვა ინვენტარი	32,761	4,133	36,894
სულ	399,646	66,359	466,005

2020 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ჩამოწერა	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	81,242	-	-	81,242
ოფისის აღჭურვილობა	420,546	43,009	(6,600)	456,955
ავეჯი და სხვა ინვენტარი	47,299	1,446	-	48,745
სულ	549,087	44,455	(6,600)	586,942

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	ჩამოწერა	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	25,606	8,432	-	34,038
ოფისის აღჭურვილობა	268,998	67,770	(3,921)	332,847
ავეჯი და სხვა ინვენტარი	27,054	5,707	-	32,761
სულ	321,658	81,909	(3,921)	399,646

8. გაცემული სესხები

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხების საბალანსო ნაშთები შემდეგია:

გაცემული სესხები	31-12-21	31-12-20
შპს ნებულა	449,386	410,170
ლევან ლეფსვერიძე	4,964	59,070
შპს რაც არ უნდა მოხდეს	26,291	24,167
სულ	480,641	493,407

9. სავაჭრო ვალდებულებები

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულებების საბალანსო ნაშთები შემდეგია:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-21	31-12-20
ვიზას პროექტის ფარგლებში წარმოშობილი ვალდებულებები	69,939	166,509
ვალდებულებები სოციალური მედიის მიმართ	36,528	37,301
ვალდებულებები საძიებო სისტემის მიმართ	25,267	26,236
სხვა	65,355	12,805
სულ	197,089	242,851

10. გამოუმუშავებელი შემოსავალი

გამოუმუშავებელი შემოსავალი შედგება კლიენტი კომპანიების მიერ მომსახურებისთვის ჩარიცხული ავანსებისგან. აღნიშნული ავანსების შემოსავალში აღიარება მოხდება მომსახურების გაწევის შემდგომ. ჯამში ჯგუფს ჰქონდა მიღებული ავანსი 20-ზე მეტი კლიენტი კომპანიისგან 2021 წლის ბოლოს.

11. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	31-12-21	31-12-20
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	41,637	47,887
საპენსიო შენატანის ვალდებულებები	173,632	38,327
საგადასახადო ვალდებულებები	69,949	12,954
სულ	285,218	99,168

12. შემოსავალი მომსახურებიდან

ჯგუფის შემოსავლის ძირითადი წყაროები იყოფა შემდეგ ძირითად კატეგორიებად:

- მარკეტინგული საქმიანობა
- ტრენინგები და საგანმანათლებლო ღონისძიებები
- სასტუმროების მართვის ონლაინ პლატფორმა

შემოსავლების კატეგორიებად ჩაშლა წარმოდგენილია ქვემოთ:

შემოსავალი მომსახურებიდან	31-12-21	31-12-20
მარკეტინგული საქმიანობა	5,771,475	4,004,837
ტრენინგები და საგანმანათლებლო ღონისძიებები	220,518	110,367
სასტუმროების მართვის ონლაინ პლატფორმა	129,931	83,686
სულ	6,121,924	4,198,890

13. მომსახურების მომწოდებლებისა და მასალების დანახარჯი

საკუთარი მომსახურების გაწევისას, რიგ შემთხვევებში, ტოპ გრუპი სარგებლობს მესამე მხარეების მომსახურებებით. კერძოდ, კომპანია ახდენს სხვადასხვა მომსახურებისა და პროდუქციის შესყიდვას, როგორც იურიდიული ასევე, ფიზიკური პირებისგან. გარდა ამისა, განხორციელებული პროექტების ფარგლებში, კომპანიას უწევს მასალების შეძენა და უტილიზაცია.

ამ დანახარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

მომსახურების მომწოდებლებისა და მასალების დანახარჯი	31-12-21	31-12-20
მომსახურების მომწოდებლების დანახარჯი	1,553,772	887,615
მასალების დანახარჯი	470,993	32,771
სულ	2,024,765	920,386

14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	31-12-21	31-12-20
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	131,185	103,779
საკონსულტაციო ხარჯი	98,195	310,775
საოფისე ხარჯები	79,848	90,708
იჯარის ხარჯი	54,338	4,223
დაზღვევის ხარჯი	35,039	35,244
სამიეზო სისტემის მომსახურების ხარჯი	31,855	27,605
მივლინების ხარჯები	20,894	290
თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების ხარჯები	15,622	6480
საკურიერო მომსახურების ხარჯი	7,422	2383
საბანკო ხარჯი	5,302	5,248
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯი	2,316	8,549
წარმომადგენლობითი ხარჯი	1,008	3,238
სხვა	120,146	67,412
სულ	603,170	665,934

15. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	31-12-21	31-12-20
სახელფასო ხარჯი	3,574,295	3,240,325
საპენსიო სარგებელი	91,504	72,789
სულ	3,665,799	3,313,114

16. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

16.1 გაცემული სესხები

2021 წლის ბოლოსა და 2020 წლის ბოლოს მდგომარეობით ჯგუფს გაცემული ჰქონდა შემდეგი სესხები დაკავშირებულ მხარეებზე:

გაცემული სესხები	31-12-21	31-12-20
შპს ნებულა (მეკავშირე საწარმო)	449,386	410,170
ლევან ლევსვერიძე (თანამფლობელი)	4,964	59,070
შპს რაც არ უნდა მოხდეს (სხვა დაკავშირებული მხარე)	26,291	24,167
სულ	480,641	493,407

16.2 აღებული სესხები

2021 წელს ჯგუფმა აიღო სესხები დაკავშირებული მხარეებისგან, შპს ტოპ გრუპის დირექტორისგან (ერეკლე ზურმუხტაშვილისგან) და მეკავშირე საწარმოსგან (შპს ატომსტუდიოსგან). 2021 წლის ბოლოს მდგომარეობით ჯგუფს აღნიშნული პირების მიმართ დარჩენილი ჰქონდა შემდეგი სასესხო ვალდებულებები:

სესხები	31-12-21
ერეკლე ზურმუხტაშვილი (დირექტორი)	27,023
შპს ატომსტუდიო (მეკავშირე საწარმო)	3,097
სულ	30,120

16.3 მენეჯმენტის კომპენსაცია

2021 და 2020 წლებში მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 444,246 ლარი და 375,249 ლარი შესაბამისად.

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2022 წლის 9 თვეში, ჯგუფმა აიღო რამდენიმე სესხი:

- კომერციული ბანკისგან - 305,500 ლარის სესხი 1 წლის ვადით;
- დაკავშირებული ფიზიკური პირისგან - 62,150 ლარის სესხი 1 წლის ვადით;
- სხვა დაკავშირებული პირისგან - 68,450 ლარის სესხი 1 წლის ვადით.